INTERNATIONAL MONETARY FUND
COMMUNICATIONS DEPARTMENT

პრეს-რელიზი N. 15/552
ექვემდებარება დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას
2015 წლის 8 დეკემბერი

საერთაშორისო სავალუტო ფონდი
აშშ, ქ. ვაშინგტონი, კოლუმბიის
ოლქი. საფოსტო ინდექსი 20431

საქართველოში მიმოხილვის დასრულების ეტაპზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის განცხადება

მისიის დასრულებისას გამოქვეყნებული პრეს-რელიზები მოიცავს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეკონომისტების გუნდის განცხადებას, რომელშიც გაცხადებულია ქვეყანაში ვიზიტის შემდეგ გაკეთებული წინასწარი მიგნებები. წინამდებარე განცხადებაში გამოხატული მოსაზრებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეკონომისტებს ეკუთვნის და შეიძლება არ წარმოადგენდეს უწყების აღმასრულებელი დირექტორების მოსაზრებებს. მისიის წინასწარი მიგნებების საფუძველზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეკონომისტები მოამზადებენ ანგარიშს, რომელიც ხელმძღვანელობის მოწონების შემთხვევაში განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად უწყების აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს წარედგინება.

ამა წლის 9-21 ნოემბერს თბილისში იმყოფებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია ბ-ნი მარკ გრიფითსის ხელმძღვანელობით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის სარეზერვო დაფინანსების პროგრამის მეორე და მესამე მიმოხილვის ფორმატში დისკუსიების გასამართად.

8 დეკემბერს, ბატონმა გრიფითსმა შემდეგი განცხადება გააკეთა:

„საქართველოს ეკონომიკა კვლავაც რთული საგარეო ვითარების პირობებში ფუნქციონირებს. საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის შენელებამ და მათი ვალუტების გაუფასურებამ საქართველოს ექსპორტისა და უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების კლება განაპირობა. ყოველივე ამის შედეგად, ასევე გლობალურად აშშ დოლარის გამყარების ფონზე, შემცირდა უცხოეთიდან შემოსავლების შემოდინება, რამაც გამოიწვია წლის განმავლობაში ლარის 35 პროცენტზე მეტით გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ. ვალუტის გაუფასურება ეკონომიკას ეხმარება გარე შოკებთან გამკლავებაში, თუმცა ვალის ტვირთს უზრდის მსესხებლებს, რომელთაც აშშ დოლარით აქვთ სესხები, და ვალუტის გაუფასურება ასევე ამცირებს ადგილობრივ მოთხოვნას.

ძლიერი შოკის მიუხედავად საქართველოს ეკონომიკა სტაბილიზაციის ნიშნებს იჩენს. ეკონომიკური ზრდა მიმდინარე წელს მცირედით აღემატება ადრინდელ პროგნოზს და მოსალოდნელია, რომ 2.5 პროცენტი იქნება, ხოლო 2016 წელს 3 პროცენტამდე გაძლიერდება. ამ პროგნოზს ახლავს გაუარესების რისკები,

რაც ძირითადად ქვეყნის სავაჭრო პარტნიორებში ეკონომიკური მდგომარეობის შესაძლო გაუარესებიდან მომდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციამ იმატა, წლის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის 5 პროცენტიან სამიზნე მაჩვენებელს მხოლოდ მცირედით გადააჭარბებს.

გარე შოკმის გამო, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის პროგნოზი მთლიან შიდა პროდუქტის (მშპ-ს) 11 პროცენტამდე გაზარდა. თუმცა არსებობს იმის ნიშნები, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობა უმჯობესდება: ექსპორტი და ფულადი გავნილების შემოსვლის მინიმალური ოდენობა უკვე წარსულშია, ხოლო ტურისტების რაოდენობა კვლავ მატულობს. იმპორტის კლებამ მესამე კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8 პროცენტი შეადგინა (ან 16 პროცენტი თუ ერთჯერად დიდი იმპორტის შემთხვევას გამოვრიცხავთ). ამდენად, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2016 წელს უნდა შემცირდეს მშპ-ს 9 პროცენტამდე. რამდენადაც საგარეო ვალი მშპ-ს 100 პროცენტია, აუცილებელია, რომ საშუალოვადიან პერიოდში.მიმდინარე ანგარიშის დეფიციტ შემცირდეს.

ეკონომიკური ზრდის შენელების მიუხედავად, სახელმწიფო შემოსავლები წელს მაღალია როგორც საგადასახადო ასევე არასაგადასახადო შემოსავლების და გრანტებიდან დაგეგმილზე მაღალი შემოსავლების გამო. გაზრდილი შემოსავლები მთავრობას შესაძლებლობას მისცემს ფისკალური დეფიციტი შეინარჩუნოს მშპ-ს 3 პროცენტზე ან ოდნავ მაღალ მაჩვენებელზე საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე, სუბსიდიებზე და ივნისის თვეში მოვარდნილი ღვარცოფით გამოწვეული სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის გაზრდილი ხარჯების მიუხედავად.

2016 წლის ბიუჯეტი, მშპ-ს 3 პროცენტის ოდენობის დეფიციტით, ხელს უწყობს ინკლუზიურ ზრდას და აუმჯობესებდეს საგარეო სტაბილურობას. მთავრობის პრიორიტეტების შესაბამისად სოციალური დაცვისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირების კუთხით ბიუჯეტი გულისხმობს ხარჯების ზრდას საყოველთაო ჯანდაცვისა და პენსიებზე. ჯანდაცვის ხარჯები 2015 წელს დაგეგმილზე გაცილებით მაღალი იყო. მთავრობამ მეთვალყურეობა უნდა გაუწიოს ამ ხარჯებს 2016 წელს და ეფექტიანობის ზრდით უზრუნველყოს ხარჯების დაზოგვა. ხოლო თუ გადახარჯვა კვლავ გაგრძელდება, მთავრობას მზად უნდა ქონდეს სარეზერვო გეგმა დეფიზიტის მშპ-ს 3 პროცენტის ფარგლებში შესანარჩუნებლად.

დიდი ფისკალური რისკები, რომლებიც გამომდინარეობს - მათ შორის ჰიდროენერგეტიკულ სექტორში ინვესტიციების წასახალისებლად ელ. ენერგიის შესყიდვის უზრუნველყოფად გაცემული სამთავრობო გარანტიებიდან, გულდასმით უნდა იმართებოდეს, რათა საქართველოს მიერ დიდი რუდუნებით

მოპოვებული ფისკალური მდგრადობა იქნეს დაცული. მნიშვნელოვანია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად ისეთი ფორმატის შემოღება, რომლითაც ასეთი გარანტიებიდან მომდინარე ფისკალური რისკის მონიტორინგი, შეფასება, მართვა და სრული განსაჯაროება მოხდება.

მისია ცალსახად უჭერს მხარს საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკას, რომელიც ლარის მცურავ რეჟიმში შენარჩუნებას და სავალუტო ინტერვენციებს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში - განსაკუთრებული სავალუტო რყევების დროს - გამოყენებას გულისხმობს. სავარაუდოდ გრძელვადიანი საგარეო შოკებისას ინტერვენციები წარუმატებელი იქნებოდა და მხოლოდ სავალუტო რეზერვების განიავებას გამოიწვევდა. გაცვლითი კურსის გაუფასურებამ საგარეო შოკები შეარბილა იმპორტის შემცირების, ადგილობრივი მწარმოებლების კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისა და ფულადი გზავნილების ღირებულების დაცვის სახით. დასასრულს, საქართველოს ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანა ფასების სტაბილურობაა, რაც მცურავ გაცვლით კურსს მოითხოვს. იმისათვის რომ შეძლოს ამ მიზნის მიღწევა და ფინანსური სტაბილურობის დაცვა, საქართველოს ეროვნულ ბანკს სრული საოპერაციო დამოუკიდებლობა უნდა ჰქონდეს.

ხელისუფლება საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებას ელოდება კანონზე, რომელიც საქართველოს ეროვნულ ბანკისგან საბანკო ზედამხედველობას მიჯნავს. მნიშვნელოვანია, რომ ეს ფუნქცია დარჩეს დამოუკიდებელი პოლიტიკური და დარგობრივი ჩარევებისგან და განხორციელდეს მაღალი ხარისხით.

მისიამ და ხელისუფლებამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს ეკონომისტების დონეზე შეთანხმების მისაღწევად მეორე და მესამე მიმოხილვის ფარგლებში. მომდევნო კვირების განმავლობაში მისია იმუშავებს ხელისუფლებასთან განზრახულობათა წერილის დასასრულებლად, რაც მოითხოვს შეთანხმებას საბანკო ზედამხედველობის დამოუკიდებლობის შენარჩუნების სტრატეგიაზე, სავალუტო რეზერვების საკმარისი დონის უზრუნველყოფაზე, სახელმწიფო ვალდებულებების მართვისა და განსაჯაროების ფორმატის გაუმჯობესებაზე, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის სტრუქტურულ რეფორმებზე. ამ დასკვნითი განხილვების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, სსფ-ს მიმდინარე პროგრამის მეორე და მესამე მიმოხილვა 2016 წლის დასაწყისში დასრულდება.
მისია მადლობას უხდის საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, მთავრობის სხვა წევრებსა და ქვეყნის ეროვნულ ბანკს ღია და კონსტრუქციული დისკუსიებისთვის“.